

## ახალბედა

მაშინ, როდესაც ახალბედა<sup>1</sup> ვიყავი, ზოოპარკში ხშირად დავდიოდი. ისე ხშირად, რომ ცხოველებს უკეთ ვიცნობდი, ვიდრე ჩემს თანატოლ გოგონებს. სიმართლე ითქვას, სწორედ ხალხისგან გასაქცევად მივდიოდი ყოველდღე ზოოპარკში. განსაკუთრებით ერთ ცხოველს, ნორჩ აფთარს დავუახლოვდი. ისიც მიცნობდა. ძალიან ქკვიანი იყო. მე ფრანგული ვასწავლე, მან კი, სანაცვლოდ, საკუთარი ენა შემასწავლა. ამგვარად ბევრი საამო საათი გავატარეთ ერთად.

მაისის პირველს, დედაჩემი მეჭლისს მართავდა ჩემს საპატივცემულოდ. იმხანად ყოველ ღამეს დიდ ტანჯვაში ვატარებდი. მეჭლისები ყოველთვის მძულდა, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ჩემს საპატივცემულოდ მართავდნენ.

1934 წლის პირველი მაისის დილას, უთენია, აფთართან გავეშურე სტუმრად.

– რა ჯანდაბაა, – ვუთხარი. – ამაღამ ჩემს მეჭლისზე მიწვევს წასვლა.

– ძალიან გაგიმართლა, – მომიგო მან. – ნეტავ მეც შემეძლოს წამოსვლა. ცეკვა კი არ ვიცი, მაგრამ ცოტას მაინც ნავიჭუკჭუკებდი.

– იქ იმდენნაირი საჭმელი იქნება, – ვუთხარი. – დღეს დავინახე, ჩვენს სახლში საკვები სატვირთოებით მოჰქონდათ.

– შენ კიდევ წუნუნებ! – ზიზღით მომადახა აფთარმა. – აბა, ჩემზე იფიქრე, დღეში ერთხელ მაჭმევენ და ვერც კი წარმოიდგენ, რა ნაგვით მიტენიან პირს.

უეცრად გაბედული იდეა დამებადა, სიცილი ძლივს შევიკავე: – თუ ასეა, ჩემს ნაცვლად წადი მეჭლისზე!

– საკმარისად არ ვგავართ ერთმანეთს, თორემ დიდი სიამოვნებით წავიდოდი, – თქვა ხმაში ოდნავ სევდაშეპარულმა აფთარმა.

– მისმინე, – ვუთხარი. – საღამოს განათებაში გარკვევით ვერავინ ხედავს. თუკი შეინიღებები, ბრბოში ვერავინ შეგნიშნავს. თანაც, პრაქტიკულად ერთი სიმაღლისანი ვართ. შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარ, გემუდარები, ქენი ეს ჩემი გულისთვის...

აფთარი ჩაფიქრდა. ვიცოდი, სურვილი კლავდა, დამთანხმებოდა.

– შევთანხმდით, – თქვა უეცრად.

ასე დილაადრიან გარშემო დიდად დარაჯებსაც ვერ ნახავდით. გალია მკვირცხლად გამოვადე და სულ რამდენიმე წამში უკვე ქუჩაში ვიყავით. ტაქსი გავაჩერე; შინ რომ მივდივით, ჯერ კიდევ ყველა იწვა. ჩემს ოთახს მივაშურეთ და ის კაბა გამოვიღე, წვეულებაზე რომ უნდა ჩამეცვა. ოდნავ გრძელი იყო, თანაც აფთარს ეძნელებოდა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით გავლა. ვუპოვე ხელთათმანები, ჩემსაზე ბევრად ბალნიანი თათების შესამალად. იმ დროისთვის, ჩემს ოთახში მზემ რომ შემოანათა, უკვე შეეძლო წელში მეტ-ნაკლებად

გამართულს ოთახისთვის რამდენიმე წრის დარტყმა. ისე ვიყავით ამ საქმით გართულები, ძლივს მოასწრო აფთარმა საწოლის ქვეშ შემალვა, როცა დედაჩემმა კარი შემოაღო, რათა ჩემთვის დილა მშვიდობისა ესურვებინა.

– შენს ოთახში ცუდი სუნი დგას, – მითხრა დედამ და სარკმელი შეაღო. – საღამოს წვეულებამდე კეთილსურნელოვან აბაზანას მიიღებ, ჩემი ახალი საბანაო მარილებით.

– ცხადია, – მივუგე.

დიდხანს არ გაჩერდა. ვფიქრობ, სუნს ვერ გაუძლო.

– საუბრებზე ნუ დააგვიანებ, – მითხრა და ოთახიდან გავიდა.

განსაკუთრებით აფთარის სახის შენიღბვა გაჭირდა. საათების მანძილზე ვეძებდით გამოსავალს, მაგრამ ის ჩემს ყველა შეთავაზებას უარყოფდა. ბოლოს და ბოლოს მითხრა: – მგონი, მოვიფიქრე. მოახლე გყავს?

– მყავს, – ვუპასუხე დაბნეულმა.

– ჰოდა ეგ არის. უხმე შენს მოახლეს და როგორც კი შემოვა, ვეცემით და სახეს მოვავლეჯთ. ამაღამ მის სახეს მოვირგებ ჩემის ნაცვლად.

– ეგ არაპრაქტიკულია, – ვუთხარი. – უსახოდ ალბათ მოკვდება. მერე კი ვინმე მის გვამს აღმოაჩენს და ციხეში ჩაგვსვამენ.

– ისე მშია, მთლიან მოახლესაც მოვერევი, – თქვა აფთარმა.

– და ძვლები?

– ძვლებსაც მივაყოლებ, – მითხრა. – მაშ, შევთანხმდით?

– მხოლოდ იმ პირობით, რომ მანამ მოკლავ, ვიდრე სახეს მოავლეჯ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ეტკინება.

– კეთილი. ჩემთვის სულერთია.

საკმაოდ ვნერვიულობდი, ზარი რომ დავრეკე და ჩემს მოახლეს, მერის მოვუხმე. ასეთ ნაბიჯს არავითარ შემთხვევაში არ გადავდგამდი, მეჭლისზე ნასვლა ჩემთვის ასეთი საძულველი რომ არ ყოფილიყო. როცა მერი შემოვიდა, კედლისკენ შევბრუნდი, რომ ვერ დამენახა. უნდა ვალიარო, ამ საქმეს დიდი ხანი არ დასჭირდა. უცაბედი ამოკივლება და მორჩა. სანამ აფთარი ქამდა, მე სარკმლიდან ვიყურებოდი. ცოტა ხნის შემდეგ თქვა: – მეტს ველარ ვჭამ. ორი ფეხი კიდევ დამრჩა, მაგრამ თუ პატარა ჩანთა მოგეპოვება, ამათ ცოტა მოგვიანებით დავაყოლებ.

– მაგ კარადის უჭრა გამოაღე და იქაა ჩანთა, ზედ ზამბახია ამოქარგული. შიგ თავსაფრები აწყვია, ისინი გადმოყარე და ჩანთა აიღე. – ასეც მოიქცა. მერე მითხრა: – ახლა შემობრუნდი და ნახე ერთი, რა ლამაზი ვარ.

სარკის წინაშე, აფთარი თავისი მერისსახიანი თავის მშვენებით ტკბებოდა. სახის კიდეები ისე კოხტად შემოეკვნიტა, სახისაგან მხოლოდ ის დარჩა, რაც სჭირდებოდა.

– ნამდვილად ზედმინწევნით შეგისრულებია ეგ საქმე, – ვუთხარი მე.

საღამოჯამს, როცა აფთარი უკვე სრულად მორთულ-მოკაზმულიყო, გამომიცხადა:  
– ვფიქრობ, საუკეთესო ფორმაში ვარ. ისეთი განცდა მაქვს, ამ საღამოს  
დაუვინყარი ვიქნები.

როდესაც ქვედა სართულიდან მუსიკა უკვე რაღაც ხანს მოისმოდა, ვუთხარი: –  
ახლა ჩადი, და გახსოვდეს, დედაჩემს ნუ დაუდგები გვერდით, თორემ მიხვდება,  
რომ მე არ ხარ. მის გარდა იქ არავის ვიცი. აბა შენ იცი. – განშორების წინ  
ვაკოცე, ძალიან მძაფრი სუნი ჰქონდა.

შემოღამდა. დღის განცდებით გადაღლილმა წიგნი ავიღე და, გამოღებულ  
სარკმელთან ჩამომჯდარმა, თავი სიმშვიდესა და გარინდებას მივეცი. მახსოვს,  
რომ ჟონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობებს“ ვკითხულობდი. პირველი  
ნიშნები, რომ რაღაც ისე ვერ იყო, ჩემამდე ასე ერთი საათის შემდეგ მოვიდა.  
სარკმელში ღამურა შემოფრთხილდა მოკლე-მოკლე ამოკივლებებით. ღამურების  
უზომოდ მეშინია. სკამს ამოვეფარე, კბილი კბილზე მიცემდა. ჩამუხვლა ძლივს  
მომესწრო, რომ ფრთების ხმა კარიდან შემოსულმა ხმაურმა გადაფარა. დედაჩემი  
შემოვიდა, რისხვისაგან გაფითრებულიყო.

– მაგიდასთან დავსხედით თუ არა, – მითხრა, – ეგ შენი შემცვლელი არსება  
წამოდგა და დაიძახა: „ჰო, მერე რა თუ ცოტა მძიმე სუნი ამდის? სამაგიეროდ, მე  
წამცხვრებს არ ვჭამ!“ რის შემდეგაც სახე ჩამოიგლიჯა და შეჭამა. მერე ერთი  
ისკუპა ფანჯრიდან და თვალს მიეფარა.

(1937-38)